# მითოლოგიური არქეტიპები თანამედროვე ფენტეზიში

# (მადელინ მილერის კირკესა და ნატო დავითაშვილის აიას გზაში)

თამთა ქარქაშაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, პროფესორი, დოქტორი.

თანახელმძღვანელი: ნინო აბაკელია, საპატიო პროფესორი, ემირიტუსი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

# განაცხადი

*როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*თამთა ქარქაშაძე*

*11.06.2024*

# აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში გამოკვლეულია მითოლოგიური არქეტიპები თანამედროვე ფენტეზიში ქართული და უცხოური ტექსტების - მადელინ მილერის *კირკესა* და ნატო დავითაშვილის *აიას გზის* მაგალითზე.

კვლევამ ნორთროფ ფრაის არქეტიპული კრიტიკის საფუძველზე გამოავლინა ბერძნული და ქართული მითოსის გამოყენების გზები. ამასთანავე, ნაშრომში განხილულია ტექსტების შესაბამისობა ფენტეზის ჟანრის კანონებთან, ფემინისტური მითოლოგიური კრიტიკის საშუალებით კი გაანალიზებულია არქეტიპული სახეებისა და მითოსური სიუჟეტების ტრანსფორმაციის ხერხები და რევიზიული მითის შექმნის მიზნები.

ტექსტების შესწავლით დადგინდა, რომ მიუხედავად ავტორების სხვადასხვა მითოსით საზრდოობისა, შედეგები, რიგ შემთხვევაში, მსგავსია და ორივე მათგანი პატრიარქალურ წესრიგში, ქალი მითიური პერსონაჟებისთვის ახალი სიცოცხლის მიცემას, მათი პირვანდელი სახის წამოწევას თუ საპირისპირო პოლუსზე მდგომი ქალური არქეტიპების როლების გადასინჯვას ისახავს მიზნად.



**საკვანძო სიტყვები:** *მითოლოგია, არქეტიპები, ფენტეზი, პატრიარქატი, მატრიარქატი, ფემინიზმი, რევიზიული მითი*

// Abstract

This master thesis studied Mythological archetypes in modern fantasy (in Circe by Madeline Miller and Aias Road by Nato Davitashvili).

The research revealed ways of using Greek and Georgian myth, within the archetypal criticism of Northroff Fry. The paper also analyzed  the texts according to the canons of the fantasy genre.

Parallelly,  by using feminist mythology critics, we studied the ways of transformation of archetypes and mythic stories and goals of revisionist mythmaking .

The examination of the texts disclosed that in spite of using different myths, in some cases, the results are similar and both authors aimed to give new life to female mythical characters, that were influenced by the patriarchal culture.

**Keywords**: *Mythology, Archetypes, Fantasy, Patriarchy, Matriarchy, Feminism, Revisionist mythmaking*